

ნიკეა

15
ქართული
საბავშვო ჟურნალი

ბათუმის 57-ე ფაქი, (№ 1577) - აგვისტო, 1980, ფასი 20 კპპ.



— მმართველთან ვერ უვები-
შვებთ! სომ ხელახთ, თათგი-
რი აქვს?

ს. ა. ლომიანი

ინკვიზიცი ღვთის ტ ა მ რ თ ა ნ

სპეტიცსოვლის ეზოში, მელქისედეკის შესასვლელთან, კიბეებზე ლოცვად იდგა მცხეთის სასულიერო სემინარიის მოსწავლე გიორგი დორაული და მამაზეციერს გულმხურვალედ ვედრებოდა:

— შემინდე ესე კანდიერება, იესო მაცხოვარო, და გადმომხედე წყალობის თვალთ, გარდაჰქმენ ჩვენს ეზოში გადმომდინარე წყაროს წყალი ღვინოდ. ისევე, როგორც შენ ეს ჰქმენ კანას, ქორწილში!

მლოცველს მგორე სემინარიელიც ამოუდგა გვერდით.

— შეუნდე, უფალო, ამ უფუნურს ცოდვანი მისნი და შეაგონე, რომ წყალში ჩაეარდნილისათვის ყველაზე დიდი დამხმარე მისივე ხელებია, და რომ ეს წამდელიად ასეა, ჩამოილე, უმეცარო, ეგ ტურტლიანი ხელები და ამოაბრუნე ჯიბეები, იქნებ მამაზეციერმა უკვე მოახდინა სასწაული თვისი!

დორეულმა ჯიბეები მოიფათურა, ამოატრიალა და სამი ხუთმანეთიანი ამოჰყვა ხელს. პირველი ქურსის სემინარიელმა თამაშ კიქნამზე ზეცას ახედა:

— ისევ შენ, ღმერთო, თორემ ვინ გოგია და ვინ ხუთმანეთიანები?!

შემდეგ ღვინის მალაზიისკენ გასწიეს და სამი ბოთლი შამპანურით დაბრუნდნენ უკან. სამი საცობი თოფივით გაეარდა ტაძართან! „მხურვალე ლოცვით განწმენდილი“ ისხამდნენ ყანყარტოში შუშხუნა სითხეს და საუბარს განაგრძობდნენ.

— ცოდვას ვერ ვიტყვი, ჩემო თემურ, ფრიად დამეხმარა მამაზეციერი! მე, ხულიგნობისათვის წასამართლევსა და ნაცისხარს, ვინ მიმიშვებდა სხვა სასწაულებელში, აქ კი სემინარიის ორივე კარი გამიღეს და ახლა კარგსა ვსვამ და კარგსა ვჭამ!

— ცუდი ის არის, რომ სასმელი გვითავადება! თუმცა ღმერთი არ გასწირავს თავის ერთგულ მსახურს! ნახე, ვინ გამოგვიგზავნა იოანე ნათლისმცემელმა?

— ჩვენს სულიერ მეგობარსა და თანამოსაყდრეს ქებაძის გაუმარჯოს!

— ამაზე უკეთესი ახალგაზრდა ერთი არ მოიძებნება ჩვენს სამწყსოში. ძმაო და ძმაზე უტკბესო, დაგვილიე ერთი ჭიქა!.. — ხუთი წუთის შემდეგ ქებით გაბრუნებულმა ქებაძემ ხუთი ბოთლი შამპანური მოარბენინა მალაზიიდან საუბარმაც უფრო ცხოველი ხასიათი მიიღო.

— ცხოვრება უფრო საამური იქნებოდა, ჩემო თემურ, ხურო იოსების შვილისათვის ფარისევლებს რომ არ შეეშალათ ხელი!

— აგერ, ერთი ფარისეველი აქაც გამოჩნდა! კიბეებზე მცხეთაში მცხოვრები თ. მ. ჩამოდიოდა.

— მეგობარო, იქნებ გვიკადრო და ერთი ჭიქა შამპანურით დაგვლოცო?!

— რატომაც არა, თქვენი გამარჯვებისა იყოს, ბიჭებო!

— ბიჭებო რას მიქვიან?! ჩვენ შენი სულიერი მოძღვრები ვართ და მოძღვარს კი, ხომ იცი, ხელზე უნდა ემთხვიო?!

— მე ხელზე არავის არ ვემთხვევი!..

— არ ემთხვევი და, მიილე, ფარისეველო, ღვთის განგებით! — დორეულმა მარჯვენა მოიქნია და თ.მ-ს სახეში გაარტყა. პოდა ატყდა იმაზე უარესი ორომტრიალი, როგორც იესო ნაზარეველმა დაატრიალა იერუსალიმის ტაძარში.

თუ როგორ წარიმართა შემდეგ საქმე, დაზარალებულ თ.მ-ს მოუფსმინოთ: „ამ დროს წითური ბიჭი გაიქცა და კარები ჩაკეტა. მოულოდნელი დარტყმისაგან ნაიქუცი, ხოლო როცა წამოვიდეთ, წითურმა უკანიდან რალაც ჩამარტყა თავში და გონება დაეკარგე, მაგრამ სანამ გონებას დაეკარგავდი, მანამდე მიტყამდნენ ორივენი გონს რომ მოვედი, სემინარიის საცხოვრებელ ბინაში აღმოვჩნდი, ხატის წინ. წითურმა ბიჭმა, როგორც ახლა გავიგე, მისი გვარი დორეულია. მითხრა, დაიჩოქე ხატის წინ და ილოცო! მე წინააღმდეგობა გაუწიე, მაშინ ისევ ცემა დამიწყეს, თან დანით მანვალებდნენ. რომელი მჩხველტა დანით, არ მახსოვს. ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა სახეზე დამისევა დანა და ისევ დაეკარგე გონება გონს რომ მოვედი, უკვე ქვევით ვიყავი და მიეყავდი ორივეს. გვერდზე წითური ბიჭი მედგა, ხოლო უკან შევეგრემანი მომყვებოდა. დავინახე, ხელში ეჭირა ლაპლაპა დანა და წითურს უთხრა, ბარემ მოვეკლათო! წითურმა, ესე იგი დორეულმა, რალაც გადაულაპარაკა და შემეკითხნენ, სად ცხოვრობ, გაგაცლებთო მე ვუთხარი, ზემო უბანში ვცხოვრობ-მეთქი. სახიდან დამდიოდა სისხლი, მთელი ტანსაცმელიც სისხლით მქონდა შეღებილი“...

ღვთის ტაძართან მომხდარი ამბავი მგორე დღეს მცხეთის მილიციის რაიონული განყოფილების გამომძიებლის კაბინეტში დასრულდა

— მოგვიტყვე, უფალო, ცოდვანი ჩვენნი! — მოისანყლეს თავი ახალმოკლენილმა ინკვიზიტორებმა, მაგრამ მიუტყევეს კი კანონ-სამართალი ღვთის მსახურთა უღმრთო ბოროტმოქმედებას?!

ქართული
ბიბლიოთეკა



— მიუიკო, დედა განესვალოს, გაყოფა თაყაში, მივდივართო!..

სამეზობლო „სამეზიო“

ვით დავშანთო, ვით აღმოვფხვრა, ვით ამოვწვა, ვით მოვხიო — ეს კუთხური ჭირი, სნება — სამარცხვინო „ს ა მ ო ხ ი ო“?! ჭრჭერობით ეს სახადი სახლობს მხოლოდ ზღვისპირეთში, მაგრამ, ალბათ, აგორდება მთელს ამერს და იმერეთში!

როცა კაცი დამაშვრალი, ან ოჯახის კარგი დედა ნათესავთა გულსაკლავად წუთისოფელს მოაკლდება, როცა ცრემლით, ვაი-ვიშით თავ-პირსა და მკერდში ვიცემთ, ეს უშუბლო „ს ა მ ო ხ ი ო“ მოადგება ოჯახს უცებ!

მოადგება, დაფუძნდება ჭირის დღიდან დაკრძალვამდე... და იწყება სმა-ღრეობა, თვით გონების დაკარგვამდე!.. და მოსული ყველა კაცი, ამ ოჯახში, სამძიმარზე, სამეზობლოს გაჰყავს იქვე, გვერდით, გაშლილ მავიდაზე!..

არის ერთი ღრიანცელი (კაცი ნაღდად დაყრუვდება), მაშინ, როცა თაჭმოყვარე ოჯახები ნადგურდება!.. ქვეყნად ვისაც პატიოსნად, სულ ხელფასზე უცხოვრია, მის შემკვიდრეს „ს ა მ ო ხ ი ო“ მოენთება აგონიად!..

თუ ამდენ ხანს სენი გვკამდა ქელეს-ორმოც-წლისთავისა, „ს ა მ ო ხ ი ო“ — შვიდღიანი — ცოცხალთ ტყავს ჰხდის შვიდმაგისად!.. თუ ახლავე არ დავშანეთ, თუ ახლავე არ ვწვდით ყელში, „ს ა მ ო ხ ი ო ს“ მძიმე სენი გავვაწამებს, გავწუხვებს წელში!

საქართველოს უმაღლესი საბჭოს უწყისი

„ვეფხისტყაოსანში“ რამდენიმე სოციოლოგიურად საინტერესო პრობლემას მივყავლი. თურმე მაშინაც ბოვინობდა არაკომპეტენტურობა და პროტექციონიზმი, გავრცელებული ყოფილა სხვადასხვა მწვავე და ქრონიკული დაავადებები.

„სხვა-და-სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძველია“. — ასე ჩივის პოემის მთავარი პერსონაჟი, თუმცა ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან წამლის შოვნა თურმე იმ დროსაც ძალიან ჭირდა. საიდან ვიცით ეს? საიდან და პოემიდან,



სადაც შავით თეთრზე წერია: „წამალსა ტარიელიხსა, ეძებს ყოვლითა ღონითა“; ან კიდევ: მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღვითა და ხმელითა“.

ამ სიტუაციაში რუსთაველი შთაბეჭდავი სიტყვებით ამხნევებს რაინდ ავთანდილს: „არ იცო, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“ ავტორს ასკილის შეგროვებაც აქვს მხედველობაში!

ავთანდილი გზას აგრძელებს და იმედს არ კარგავს, რომ წამალს იშოვის, თან, რა თქმა უნდა, ამას ჩვეულებრივი მეთოდით აპირებს: „აწ ვეძებ მისთა წამალთა, ვიქმ იქით-აქათ ბრუნვასა“.

როგორც პოემის შინაარსიდან ჩანს, ამ „იქით-აქათ ბრუნვას“ დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, ვინაიდან რუსთაველი ამბობს „ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხაშხ მართ უიცისა“. ეს მეტად ძლიერი და შთაბეჭდავი შემობრუნების მომენტია „ვეფხისტყაოსანში“.

ამის შემდეგ ავთანდილი ხასიათს იცვლის და, როგორც ჩანს, ერთ-ერთი წამლის (აფთიაქის?) მეპატრონეს ოქროს სთავაზობს. მაგრამ პატიოსანი მეწამლეები (პროვიზორები?) მაშინაც ყოფილან! და მან ასე უპასუხა ავთანდილს: „შენი ოქრო შენვე დაგჩიხს, მე, გლახ, მიწა მესამაროს!“. ესე იგი, ავადმყოფისაგან მე ზედმეტ ფულს და, მით უმეტეს, ოქროს არ ავიღებო. პოემის შემდეგ ნაწილში ეს დიალოგი აღარ მეორდება. ალბათ ეს პატიოსანი მეწამლე მოკვდა. არადა, ტარიელი რომ ისეთი მძიმე ფსიქონერული დაავადებით იყო შეპყრობილი, როგორც არის ბნედა, ეს პოემაში აშკარად იგრძნობა. ამას დართვია ღვიძლის ქრონიკული ჰეპატიტი! (ბუნებრივია, ასეთი დაავადება შეყვარე-

ბულ და სევდამორეულ კაცს დემარტებოდა). გამორიცხული არც ინფარქტი იქნებოდა, რასაც თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულიც დაემატებოდა! ავთანდილს საიდუმლოდ აცნობეს, რომ არის ძნელად საშოვი წამალი ინდოეთის სამეფო კარზე. წამლის სახელს რუსთაველი არ გვიმხვს, მაგრამ აშკარად ირკვევა, რომ ლაპარაკია „ლივ-52“-ზე (ინდურ ნედლეულზე ნაწარმი, ღვიძლის დაავადების სამკურნალო სხვა რა უნდა ყოფილიყო, თანაც ძნელად შესაძენი?).

მეგობრის სიყვარულის გამო ავთანდილს ბევრი აღარ უფიქრია: „თქმულა ქრთამი საურავსა ჯოჯობეთსა დაიურავებს“-ო და პირდაპირ ფარმაცევტული გაერთიანების ვეზირს მისდგომია, რომლისთვისაც კარგა მოზრდილი თანხა შეუთავაზებია. „ვაზირმან უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს, შენია“-ო. უარის თქმა ორი ვერსიით შეიძლება აიხსნას: ან ნედლეული არ იყო და წამალი მართლაც ვერ დაამზადეს, ან თანხა ეცოტავათ!

ავთანდილი ხომ იდეალური და უნივერსალური გმირია და სწორედ ამ სიტუაციაში გამოვლინდა მისი სწრაფი ორიენტაციის უნარი — სასწრაფოდ მაზანდა გაზარდა: „შეკრა წითელი ასი ათასი პირად მუშემან და ტანად ხარომან“ და „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“, — უთხრა ვაზირს. ამის შემდეგ გახარებულ ავთანდილს ტარიელი ეუბნება „მე თქვენგან ვპოვე მოკვდავან ჩემი წამალი წყლულისა“-ო და იქვე სახეგაბადრული აცხადებს: „მომცა წამალი გულისა, აქამდის დადავულისა“-ო.

შემდეგ, ალბათ, ისიც გახსოვთ, ფრიდონი რომ ისრით იყო დაჭრილი, მასაც დასტაქარმა უფასოდ „ისრის პირნი ამოუხვნა“ და მხოლოდ ასეთი დროული მედიკამენტოზური დახმარების შედეგად შესძლეს რაინდმა მეგობრებმა ქაჯეთის ციხის აღება. ესე იგი, აშკარა ნეგატიური მოვლენები მაშინაც ხშირი ყოფილა, რომლის დასაგმობად რუსთაველს ასეთი ჭეროვანი დასკვნის გაკეთება დასჭირდა: „ბოროტსა ხმლია კეთილმან არხება მისი გრძელია“!



სოკრატ სტაფანავინიძის



როსა ხვალინდელ კაკალს დღევანდელი მურაბა ურჩავნიათ!..

ნ ა კ ვ მ ს ე ბ ი

- მომხსენებელმა შორიდან დაიწყო და უფრო შორს წავიდა.
- შედეგებს ხან და ხან შემოქმედებითი პაუზის დროსაც ქმნიან.
- ნდობიდან გამოვიდა და უკან დაბრუნდა.
- თავისი საქმის ენთუზიასტი მთელ სამუშაო დროს თავის საქმეებს ანდომებდა.
- მმართველს ისე აფასებდნენ, ლამის სუვენირებად დააქუცმაცეს.
- დაპარბული აქვს სინდისი, ვინც იბოვის, — ალალ მისი!

ავთანდილ ქიმიჩიძე
(ქ. ბათუმი)

- სხვის მდგომარეობაში შედიოდა და იქიდან ჯიბეგასქელებული გამოდიოდა.
- უვილმა მამას შემოუთვალა: ვაზის მოვლა რად მინდა, „ვ ა ზ“-ით ქვეყანას ვუვლიო.

რომან ზუპაკიშვილი
(საგარეჯოს მონა)



პროტეპსიოზიზმი

უძველესი დაავადებაა იგი მანძი ჩაისხა პირველად როცა ადამიანები ერთმანეთს დაეხლოდნენ და ნაცნობობა დაემყარა...

დღეს მკაცრი ოპერაციის შიშით ერთხელ და ქვიანი ადამიანები ერთდებან მას. ზოგი ვერ ახერხებს ამას - იღებს ფულს და ჰყიდის სულს...

საგამოცდო კომისიის ზოგი წევრი ნარმატივით ახერხებს უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას და თავიდან იცილებს აბიურეგენტთა შიშობების თავდასხმებს...

სადასწერო მისამართი



— ესენი ჩვენივე პატარავა? — არა, ეს საკრატაჟმთა სიკეთა, ჟოკიმი ხაზავა თქვენა!

ბრძანებები ამონაწერი
... რაღაც მანქანაში ვინმე ვერ იტანს უსიყვარულოდ, უსიყვარულოდ ვერ იტანს საყვარელს...

ბედის ბაღი

(იგივე ახლო წარსულთან)

მთელს გათვალდა. გათვალდა... სხედს, აჩვიდა, ბუღალტერი, კეფიბა. სხედს, უწყევით გულზე ხელები...

ბედის ბაღი

— ეს მარამ, შენ ყოველდღე ამ უნდა იყო, მიკო! რა ვნა, მიქელ ბიძია, არ ყოფილა ჩემი საშველი...



— ეს მასსუსის, იქით დაემარტოე, შვილი, კვიპარაბის ვეჟა. მანძი ადგილები ასე არ კიოდა...

— თქმა, შარბან, შემოდგომის, დაემარტოე კიოდა, შვილი. — შარბან, შემოდგომის ამხანაგური ბიზნისმენი...

ოთხკანონი კვირიკი

თავი I
რას მიიჯნა ტაბილი სიხავე?
მე ვიპოვე რაღაც სიხავე, რომელსაც თუნდა ნაბილიან...



— მეგის ნინს ბიჭებს ევალებს დიდი რაღაც უწყევითა, იო, ერთი მავისი დიდიხომი წარმადი...

თავი IV
აზნა თითონიკი იცოდა?
მინორტი არჩადა დაფავა ბირქუსი...

— დღეს, დღეს იყო, ძუძუშვილი, დღეს იყო, მთელი დღე, ბარბაქაძე...

— ის ოხერი, რამ დახმოდნა შეუძლებელი, უფრო რას იტყვიან ახალმოყვანილი...

(დასასრული)

უდგა ლექტორსაც და ბილეთებსაც.

— ე რა ფანცქალმა ამიტანო?! გაიკვირვა გულში.

— რა დაგემართა ადამიანო?! აქ მო, ჩემთან ახლო! უთხრა ესლა კი ცოტა გაჯავრებულმა ლექტორმა.

გიორგიმ ფეხი არ გაანძრია. მართო კისერი გადაინვდინა და ისე შორიასლოდან ჩაჰხედა ქალაქს, როგორც უხერხულად და გვერდულად.

— მომეცი საგამოცდო!

— შენი ჭირიმე, ესლა მაპატიე, ხვალ მიზრძანე! — უთხრა გულამოსკენილის ხვეწნით გიორგიმ, — თვალები ამება, რეტი დამესხა. ვერც ვერას ვხედავ, ვერც ვერა მესმის-რა. ესლა მაპატიე, შენის ღმერთის გულისთვის!..



თავი V

ალბად!..

გამოცდაზე ნასულ გიორგის არჩილი და კესო შინ ელოდნენ. „სალამოს ტაქსი მოადგა მათ კარებსა. გიორგი, გადმოვიდა თუ არა, იქვე ჩაიკეცა. არჩილი და კესო მისცივიდნენ და გიორგი უგონოდ ნახეს, დედამინაზედ პირქვედამხობილი. ღვინის სუნი შადრევანსავით სცემდა... არჩილი მაშინვე მუხლის კვერებზედ დაეცა გიორგის წინ და სცდილობდა გონზე მოფყვანა.

— რა შეგცოდე, ღმერთო, რომ ამას გადამიკიდე?! — უნებურად წამოიძახა არჩილმა და ტაქსის მძღოლს ფული მისცა. — ალბად, გამოცდაზე ჩაიჭრა! — თქვა კესომ. — ალბად!..



თავი VI

ზარი

არჩილმა თავის ოთახში აატანინა ჩაჭრილი გიორგი და თავის ლოგინზე დაანვენინა. მაშინვე მეზობლის ბიჭი აფრინა აფთიაქში სოდის მოსატანად. ოთარანთ ქვრივმა ჯერ არა იცოდა რა.

არჩილმა დაურეკა ოფოფანთ დემეტრეს, იქნებ ხელმეორედ გამოსცადო და დედამისის რისხვას ამაცდინო.

მოხუცი მათობლის

საჭურხარი

ქმარსაყრილმა მულისწულმა ვაჟიშვილი მომიყვანა, მითხრა: „ნათესავეები ვართ, ჩამოვედით ჭაიჭარად.

უმაღლესში გამოცდები ჩააბაროს, — უნდა გულით! ხელშეწყობა დასჭირდება, თანაც — რჩევა მეგობრული!


შენ იციო!“ — დაშიტოვა. ბიჭი ჩაჭრეს! თბილისს დარჩა!

თქვა: „სოფელში რა მინდაო, მეგობრები სუყვსო აქაც!“

რა ვქნა, მართლა აღარ ვიცი შე ვარჩინო როდემდისაა შენი (რაც რამ ჰქონდა, დაეხარჯა, გაუი არის მოდებისა!).

მას გადავეცე, ხან პენსიით, ხან ხელფასით ვიცოდავილე!.. ნათესავნო, გაიგეთ და მოუარეთ თქვენ-თქვენს შვილებს!

შოთა ხოდაშენალი



— რა დაგინათო, ბატონო, არაფერი არ იხიო!..
— ნუ სწუხართ, კავიყყაჟულო! ორიანის გყოფნის სტაჟი მაქვს დიდი!

ნ. ბ. ფიჭინაძე

დემეტრემ დიდხანს იფიქრა და ბოლოს უთხრა არჩილს:
— არა, ბატონო, მე მაგას ხელს ვერ მოგვიკიდებ, ეგ ამ ქვეყნისა არ არის!
ამ დროს ვიღაცამ დარეკა ზარი!..

თავი VII

ჩაბუნძილი ხიდი

ოთარანთ ქვრივმა ერთს მუხლზედ წამოიჩოქა:
— შვილო გიორგი! აბა ერთი შემომხედე შენს დედას!.. რა დაგემართა?! ვაჟკაცი რამ გძლია?! ისეთი რა დალიე?!
შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ გამოაფხიზლა, ეს კი იყო, რომ თვალი გაახილა და უღონოდ მოატარა გარშემო. მალე ისევ მიეღულა თვალები.

— თქმა უნდა და ილაჯი აღარა აქვს!.. — დაჟკვენსა დედამ.
— ტა... — დაიხრიალა გიორგიმ და ვერ დაამთავრა სიტყვა.

— ტაშტი! ტაშტი! — დაიძახა დედამ.
არჩილმა ურჩია „ბორჯომი“ მიაწოდეთ, ცოტად მოალონიერებსო. გიორგიმ ორიოდ წვეთი ჩაყლაპა და თითქო მოსულიერდა, მაგრამ შემდეგ უღონოდ მოხსნა თავი ბალიშ-

ზედ, თვალი მიღულა და ჩაიძინა.
— გათავდა! — დაიკვილა დედამ, — ჩვენი ფეხი აქ აღარ იქნება! ნათესაობას ნიხლი ჰკარით! მორჩა! ჩვენს შორის ხიდი ჩატეხილი!

თავი VIII

დასაწყისი განთიადისა

დიდის ყოფითა და ამბით გააცილა არჩილმა გიორგი. სახლიდამ სადგურამდე და მერე სადგურიდამ მატარებლამდე ატარა გიორგის ჩემოდანი. კესოც ჭირისუფალსავით თავჩაკიდებული მიჰყვა ვაგონის კუბემდე და როცა გიორგი ჩემოდნე-



ბის გვერდით დადეს, და-შმაშ შევებით ამოისუნთქა.

— რატომ არ მიეხმარე?! ადრევე გეტქვა დემეტრესათვის, ჩემი ნათესავიო! — წყენით უთხრა კესომ უფროსს ძმას, უკან რომ ბრუნდებოდნენ. არჩილმა ხელი მოჰხვია კესოს:

— არა, ჩემო საყვარელო დაო! ნუ მიწყენ კი, ხომ გახსოვს გრიგოლ ორბელიანი:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას. ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ და არა გვარიშვილობას.“


რაფიელ მავულაშვილი
ილუსტრაციები
კეზელ ლოლუასი



იოსებ ქოქიაშვილი

ხუთ ათეულ წელზე მეტი ემსახურა ქართულ საბჭოთა სატრიულ-იუმორისტულ მხატვრობას იოსებ ქოქიაშვილი, ალალმართალი ადამიანი, ვისი სათნო მწერა ხიბლავდა ყველას, ვინც კი მას იცნობდა და სიყვარულით სოსოს, ძია სოსოს ეძახდა. იგი ერთ-ერთი იმთავიანი იყო, ვინც ქართული საბჭოთა კარიკატურის სათავეებთან იდგა, საფუძველს უყრიდა მას და რომლის განვითარებას მოახმარა თავისი უანგარობა, ხალასი ნიჭი და განუმეორებელი უალამო.

იოსებ ქოქიაშვილის პირველი ფსევდონიმი „სებ“ ჯერ კიდევ „ტარტაროზის“ ფურცლებზე გამოჩნდა და იმთავითვე მიიქცია უსურადღება. მის მახვილგონივრულ კარიკატურებს თან დაჰყვა გამარჯვებული კაცის დაკვირვებულობა და მადლიანი კვიბატობა. თვჭლახანო ღვაწლი მიუძღვის



ძია სოსოს ოცინი წლები ბოლოს ახალდაარსებული „ნიანგის“, მისი პირველი დამატება-ალმანახების პოპულარობის ზრდასა და განმტკიცებაში.

ათეული წლების მანძილზე ერთგულად იღვწოდა იოსებ ქოქიაშვილი „ნიანგისათვის“ — მოვლენები მოვლენებს მისდევდა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ყოველ მთვანს ეხმა-

ურებოდა მხატვრის მახვილი უალამო — სიცოცხლე ჰგვრიდა ადამიანებს ყოველგვარ დრომოჭმულზე და ამითრახებდა დასაგმობს.

რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე იდგა იოსებ ქოქიაშვილის პოლიტიკური სატირა, ხოლო როცა მრისხანე უამი დადგა, მან ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა და გამარჯვების სალუტებამდე არ გაუხდია იგი.

იოსებ ქოქიაშვილის კარიკატურები მრავლად იბეჭდებოდა რესპუბლიკის პარტიულ პრესაში, იგი ხომ წლების მანძილზე გაზეთ „კომუნისტის“ მთავარი მხატვარი-გრაფიკოსიც გახლდათ, საკომუნურ-ნო მოძრაობის ვეტერანებს კარგად ახსოვთ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იოსებ ქოქიაშვილის არა ერთი და ორი ნახატი თუ კარიკატურა.

თავისი სათნო ღმობით ათობოდა ძია სოსო ნორჩი მკითხველებისათვის შექმნილ მხიარულ სურათებსაც.

აკი მადლიერმა სამშობლომაც ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი — საზოგადოებრიობამ აღნიშნა იოსებ ქოქიაშვილის დაბადების მე-60 და 75-ე წლისთავების საიუბილეო თარიღები, რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს არც მთავრობის ჯილდოები აკლდა, ხოლო მოსკოვის საერთაშორისო გამოფენაზე — „სატირა მშვიდობის სამსახურში“ — ოქროს მედალი ერგო.

დღეს ბატონი იოსები ჩვენთან აღარ არის, „ნიანგი“ კი სათუთად ინახავს თავისი ძველი მეგობრის ნათელ ხსოვნას.



ტყისმცველი ეს სომ საჯამთროა, ესეც საჯამთროა!



— ან ვენახეგის უმხედვარეს გული გადამიგარუნდება სოლმა!..
— შე დალოსვილო, გულის გაღაბრუნებას სავენახე მიწა გაღაბრუნო, არ პირჩავენია?!

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ



სატირისა და იუმორის
შურნალი № 43 1941 წ.

მთავარი რედაქტორი ზაურ გოლქვაძე

სარედაქციო
კოლეგია:

ზაზუა ამირჯიანი
ნოგაი ბართია
გორის გურგულია
ნოდარ ლუგაძე
რევაზ თვაჩაძე
ჯემალ ლოლუა
ნოდარ მაღარონია
(მხატვარი-რედაქტორი)
ბაშან სინარულიძე
(ახსენისმგებელი მდივანი)
ალექსანდრე სამსონია
გიგლა ფირცხალავა
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ წიფრიძე
ვაჟა ზანუშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე)
ნაფი ჯუსოიტი

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუსალაშვილი


გადამცა ასაწომად
4/VII 80 წ.
ხელმოწერილია დასაგებად
30/VIII 80 წ.
ქალაქის ზოგა 70x108 1/2
ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი 2
სააღრიცხვო-საბამომცემლო
თაბახი 1,7

საქართველოს კვ ცვ-ის
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკვეთა № 1941. თე 07577.

ტირაჟი 150.950
ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩ ვ ე ნ ი მ ი ს ა მ ა რ თ ი :
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტ ე ლ ი ფ ო ნ ე ბ ი : მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხა-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგებების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მემა-
ქანის — 99-76-69.





იოგო ძია ხაში

სამაგიდო აბოხი

ამას წინათ იტალიურმა ჟურნალმა „პანორამამ“ თავის მკითხველებს გააცნო ახალი გასართობი სამაგიდო თამაში — „სახელმწიფო გადატრიალება“. თამაშის წესებში აღწერილი იყო, თუ „როგორ უნდა მოვანყოთ არეულობა ქალაქებში“, „როგორ ავაფეთქოთ ხიდები“, „როგორ ვივადოთ ხელთ მნიშვნელოვანი ობიექტები“. შეიძლება ითამაშო „მთავრობის ერთგული ჯარების მხარეზე“, ხოლო თუ გასურს — გაურკვეველი პოლიტიკური შეფერილობის „მემკობრეთა“ მხარეზეც.

ის ფირმები, რომლებიც ეგრეთ ნოდებულ „სალონურ“ სათამაშოებს ამზადებენ, უკვე კარგა ხანია განიცდიან სანარმოო „რენესანსს“. ისინი საკმაო წარმატებით სპეკულაციას ეწევიან მწვავე სოციალური და პოლიტიკური პრობლემების ხარჯზე, რითაც ამგვარი გასართობებით მილიონებს იხვეჭენ. უზარმაზარი მოგება მოუტანა ძველ პარკერებს მათ მიერ გამოგონილმა თამაშმა „მონოპოლიამ“, რომელიც პირობითად წარმოგვიდგენს კაპიტალის კონცენტრაციისა და მისი ინვესტირების მექანიზმს: ობიექტული განაგებს დახატულ მილიონებს და, რამდენიმე ხნით მაინც, თავს ამა ქვეყნის ძლიერთა კრებაში გრძნობს.

არანაკლებ გამოკვეთილი იდეოლოგიური დატვირთვა აქვს მეორე „სალონურ“ თამაშსაც, რომელიც 70-იან წლებში გაჩაღებული ენერგეტიკული კრიზისის დროს გაჩნდა. მისი მონაწილენი რამდენიმე საათით იქცეოდნენ ხოლმე „ნავთობის შეიხებად“, „ტანკერების მფლობელებად“ და, ნეოკოლონიალიზმის „საუკეთესო ტრადიციებისამებრ“, იყოფდნენ საოცნებო არაბულ ნავთობს. თამაშის წესები არავითარ ეჭვს არ ტოვებდა, თუ ვინ იყო დამნაშავე ენერგეტიკულ კრიზისში: რასაკვირველია — „არაბები“, რომლებიც „უსინდისოდ“ აძვირებდნენ დასავლეთისათვის სასიცოცხლოდ საჭირო პროდუქტს.

სამაგიდო „სახელმწიფო გადატრიალების“ შემქმნელნი, უკვე სხვა სპეკულაციასაც არ ერიდებიან — სპეკულანტობენ იტალიაში მომხდარ საზარელ „შავ“ შეთქმულებებზე, სპეკულანტობენ მემარჯვენე და მემარცხენე ტერორიზმის თანამედროვე თარეშზე.

ახალი გასართობის შემქმნელნი „თამაშ-თამაშით“, როგორც ჩვეულებრივ ამბავს, ისე წარმოგვიდგენენ წინააღმდეგობის მოძრაობის დროს შექმნილი დემოკრატიული ინსტიტუტების მოსპობას. აუფასურებენ იმას, რისი გაუფასურებაც ეგზომ სწადათ ამ ქვეყნად ზოგზოგებს.

„ნოვოა ვრეშია“

სიურთნილას თაჲი არა სტიკიკი

მთელმა მსოფლიომ იცის ნილოსის ველზე, ძველი ეგვიპტის ფარაონთა აკლდამებში სენსაციური არქეოლოგიური აღმოჩენების ამბავი. ზოგი იმასაც ამბობს, არქეოლოგები ამოდ იხრუკებიან უდაბნოს ხვატში, სენსაციების ხანა და მთავრდაო, მაგრამ სკეპტიკოსები ფრიად გაანბილა ამასწინანდელმა გასაოცარმა აღმოჩენამ:

დიდი ხნის ძიების შემდეგ არქეოლოგებმა მიაგნეს და გათხარეს ძველი ეგვიპტის რომელიღაც ფარაონის აკლდამა. ფარაონის განსასვენებელი თითქმის ხელუხლებელი იყო, განძეულობა გაიტანეს და გახსნეს საჩუქრთაგვი, რომელშიც ესვენა სამი ათასი წლის წინათ გარდაცვლილი ეგვიპტის მბრძანებლის მუშია.

როგორც ცნობილია, ძველი ეგვიპტელები მუშიის ტანზე ტილოს მრავალ ფენას ახვევდნენ, ხოლო თითოეული ფენის ქვეშ ძვირფასი თვლებისა და სამკაულების ჩატანება ჰქონდათ წესად.

როცა ამ ძვირფასეულობის ხილვით დაინტერესებულმა არქეოლოგებმა ფრთხილად დაიწყეს მუშიის საფენების შემოხსნა, მათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა — იქიდან სრულიად თანამედროვე, ამერიკული წარმოების მისაყურადებელი და ხმის ჩამწერი აპარატურა გადმოცვივდა!..

სანამ არქეოლოგები გონს მოეგებოდნენ, გათხრების ადგილას გამოცხადდა ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წარმომადგენელი. მან მისაყურადებელი აპარატურა აქტით ჩაიბარა, როგორც შეერთებული შტატების განუყოფელი სახელმწიფო საკუთრება, და სახელდახლოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ავტორიტეტულად განაცხადა:

— ჩვენ ვიცავთ ამერიკის შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში, და ამ ინტერესებს რომ საფრთხე არ შეექმნას, ვალდებული ვართ ვიცოდეთ, რას ფიქრობს ამ რეგიონში მდებარე თითოეული ქვეყნის მბრძანებელი, თუნდაც იგი სამი ათასი წლის წინათ იყოს გარდაცვლილი! რას იზამთ, ჯენტლმენებო, სიფრთხილეს თაჲი არ სტიკიკა!

ჯორჯი

როცა შეიარაღებული აგრესიისაგან თავის დასაცავად ელანეთის მთავრობას, მისივე თხოვნით, საბჭოთა კავშირი დაეხმარა, ვაშინგტონმა და პეკინმა ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს. რალას აღარ აბრალებდნენ საბჭოთა კავშირს: თბილი ზღვებისაკენ გაჭრის მისწრაფებას, სხვისი ნავთობის ხელში ჩაგდებას განზრახვას და ა. შ.

(გაზეთებიდან)

